ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება

დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 21 მარტის N01-24/99 გადაწყვეტილებით

მუხლი1

რეგულირების სფერო

1.1 წინამდებარე დებულება შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისა და მისი საქმიანობის, სადისერტაციო კომისიის ფორმირებისა და მისი საქმიანობის წესებს, ადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა, შეწყვეტის, მობილობისა და სწავლის წესებს, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებსა და პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

თავი I. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და სწავლის წესები

მუხლი 2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო
პროგრამის მიზნები

2.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

2.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს შესაბამისი მეცნიერების დარგის განვითარებასა და პოპულარიზაციას, სამეცნიერო კვლევის ხარისხის გაუმჯობესებასა და ახალი ცოდნის შექმნას. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს დამოუკიდებელ, მაღალკვალიფიციურ მკვლევრებსა და პროფესიონალ კადრებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვისა და კვლევითი ორგანიზაციებისთვის, ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში, რისი საშუალებითაც წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის მიერ ქვეყნის განვითარებაში.

მუხლი 3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება

3.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ წინაპირობებს (დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად შესაძლებელია განისაზღვროს კონკრეტული კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების არსებობა).

3.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

3.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებით დაინტერესებულმა პირმა (შემდგომში დაინტერესებული პირი/დოქტორანტობის კანდიდატი) უნივერსიტეტის რექტორის მიერ განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

3.3.1. პროფესიული ბიოგრაფია (CV);

3.3.2. შევსებული სააპლიკაციო ფორმა;

3.3.3. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომი აღიარებული უნდა იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) ან შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც პირს უდასტურდება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა;

3.3.4. პირადობის მოწმობის ასლი;

3.3.5. ბიომეტრიული ფოტოსურათი 3X4 - ზე;

3.3.6. სადისერტაციო ნაშრომის პროექტი (არანაკლებ 1000 სიტყვა);

3.3.7. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.

3.4. დაინტერესებული პირის მიერ წინამდებარე მუხლის 3.3 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი ან უნივერსიტეტის სხვა თანამშრომელი უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს განუსაზღვროს დამატებითი ვადა დოკუმენტის დადგენილი წესით წარმოსადგენად. დოკუმენტის წარდგენის ვადა არ უნდა იყოს 5 სამუშაო დღეზე მეტი. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება და ის კარგავს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაბამის მიღების დროს ჩარიცხვის უფლებას.

3.5. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული პირებისთვის მისაღები პროცედურების შესახებ ინფორმაციის განთავსებას საკუთარ ვებ-გვერდზე.

3.6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის უნივერსიტეტი ადგენს შიდა საუნივერსიტეტო პროცედურებს, რაც გულისხმობს გამოცდას ინგლისურ ენაში და გასაუბრებას მიმღებ კომისიასთან (ასევე უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი გამოცდა/გამოცდები). ინგლისურ ენაში გამოცდის ჩატარებისა და გასაუბრების თარიღები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

3.7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარების და მიმღებ კომისიასთან გასაუბრების გავლის მიზნით, დაინტერესებულ პირთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში.

3.8. გამოცდა ინგლისურ ენაში ტარდება წერითი ფორმით და ფასდება 100 ქულიანი სისტემით. ინგლისური ენის გამოცდაში მინიმალური დადებითი შეფასება შეადგენს 51 ქულას (უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე, შესაძლებელია გამოცდის ჩატარების

ფორმატთან ან/და მინიმალურ დადებით შეფასებასთან დაკავშირებით დადგენილ იქნეს წინამდებარე პუნქტისგან განსხვავებული მიდგომა). ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან ის დაინტერესებული პირები, რომლებსაც დასრულებული აქვთ ინგლისურენოვანი ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, ან წარმოადგენენ დოკუმენტურად დადასტურებულ ინფორმაციას/სერტიფიკატს (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE), რომ მათ უდასტურდებათ ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 - დონეზე.

3.9. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებით დაინტერესებულმა იმ პირებმა, რომლებმაც ჩააბარეს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდა - ინგლისურ ენაში, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში უნდა გაიარონ გასაუბრება მიმღებ კომისიასთან.

3.10. მიმღები კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე, მიმღები კომისია შედგება არანაკლებ 3 პირისგან. მის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები, ასევე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირ(ებ)ი, რომლებსაც უდასტურდებათ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ დარგში კვლევითი გამოცდილება.

3.11. მიმღები კომისიის საქმიანობას უძღვება კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი ან რექტორის დავალებით საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს მიმღები კომისია.

3.12. მიმღები კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მიმღები კომისია ინდივიდუალურად აფასებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებით დაინტერესებულ პირს, შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და ფორმის მიხედვით. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებით დაინტერესებულ პირის მზაობა გააგრძელოს სწავლა სადოქტორო პროგრამაზე ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: მოტივაცია, დარგის ცოდნის დონე, წარმოდგენილი კვლევითი პროექტის სიახლე და შინაარსობრივი/მეთოდოლოგიური გამართულობა, არსებული პროფესიული გამოცდილების თავსებადობა სადოქტორო პროგრამის მიზნებთან და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების გამოცდილება (იხ. დანართი N1), თუ დოქტორანტურის საგანმანთლებლო პროგრამით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3.13. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის ინგლისური ენის გამოცდასა და გასაუბრებაში მიღებული შეფასებების შედეგების გაცნობას.

3.14. იმ პირს, რომელიც არ ეთანხმება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული გამოცდის/გამოცდების ან/და გასაუბრების შედეგებს, უფლება აქვს შედეგების შეტყობინებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის (შემდგომში დეკანი) სახელზე წარმოადგინოს არგუმენტირებული წერილობითი განცხადება თუ რატომ არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას და მოითხოვოს განმეორებითი შეფასება.

3.15. დეკანი, წინამდებარე მუხლის 3.14. პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი განცხადების მიღებიდან, 3 სამუშაო დღის ვადაში, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ/ადმინისტრაციულ ხელმძღვანელთან კოორდინაციით შეისწავლის მას და იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება მოკლებულია დასაბუთებას, დეკანი უფლებამოსილია მოსთხოვოს მას და განუსაზღვროს დამატებითი ვადა (არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა) წერილობით დაასაბუთოს, თუ რატომ არ ეთანხმება იგი მიღებულ შეფასებას. დადგენილ ვადაში დაინტერესებული პირის მიერ დასაბუთებული განცხადების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დეკანი უფლებამოსილია, უარი თქვას წარმოდგენილი წერილობითი განცხადების დაკმაყოფილებაზე.

3.16. იმ შემთხვევაში თუ, დეკანი მიიღებს გადაწყვეტილებას დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი განცხადების დაკმაყოფილების შესახებ, იგი შუამდგომლობით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, რათა ხელახლა შეფასდეს დაინტერესებული პირი ან/და მის მიერ შესრულებული ნაშრომი.

3.17. წინამდებარე მუხლის 3.16. პუნქტით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საპრეტენზიო განაცხადის განმხილველი კომისია. მის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ ის პირები, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული დაინტერესებული პირის შეფასების პროცესში.

3.18. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის განცხადება შეეხება გამოცდის წერითი კომპონენტში მიღებული შეფასების გასაჩივრებას საპრეტენზიო განაცხადის განმხილველი კომისია განიხილავს დაინტერესებული პირის მიერ უკვე შესრულებულ ნაშრომს და ახდენს მის ხელახალ შეფასებას. იმ შემთხვევაში თუ, დაინტერესებული პირის განცხადება შეეხება გასაუბრების კომპონენტში მიღებული შეფასების გასაჩივრებას, საპრეტენზიო განაცხადის განმხილველი კომისია ახდენს დაინტერესებულ პირთან ხელახალ გასაუბრებას.

3.19. საპრეტენზიო განაცხადის განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება უნივერსიტეტში შემდგომ გასაჩივრებას.

3.20. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის/გამოცდების და მიმღებ კომისიასთან გასაუბრების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებისა და საპრეტენზიო განაცხადების მიღებისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, უნივერსიტეტი ქმნის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებით დაინტერესებულ პირთა რანჟირების დოკუმენტს (შემდგომში რანჟირების დოკუმენტი).

3.22. რანჟირების დოკუმენტში მოხვდებიან მხოლოდ ის პირები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდები და გასაუბრება მიმღებ კომისიასთან.

3.23. რანჟირების დოკუმენტით გათვალისწინებულ პირებსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით პირი ირიცხება შესაბამის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე და ენიჭება სტუდენტის სტატუსი.

3.24. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 4. მობილობა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

4.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე პირი შესაძლებელია ჩაირიცხოს მობილობის (მათ შორის შიდა მობილობა) საფუძველზე.

4.2. მობილობასთან (მათ შორის შიდა მობილობასთან) დაკავშირებული საკითხები წესრიგდება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების შესაბამისად.

მუხლი 5. სტუდენტის/დოქტორანტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები

5.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტთა/სტუდენტთა სტატუსის შეჩერების საფუძვლები განისაზღვრება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით.

5.2. დოქტორანტის/სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან/აღდგენასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების და მისი თანმდევი საკითხები წესრიგდება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების შესაბამისად.

5.3. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მე-7 მუხლით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლების მიღმა, დოქტორანტის/სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

5.3.1. პროსპექტუსში, კოლოკვიუმში ან სადისერტაციო ნაშრომში ზედიზედ ორჯერ უარყოფითი შეფასების მიღება;

5.3.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების დაუსრულებლობა 6 სემესტრში;

5.3.3 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული პროსპექტუსის ვერ დაცვა 6 სემესტრში;

5.3.4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის 10 სემესტრში დაუსრულებლობა (იგულისხმება, რომ დოქტორანტმა, რომელმაც ვერ შეძლო სტანდარტულად პროგრამის ხანგრძლივობის პერიოდში - 6 სემესტრში სადისერტაციო ნაშრომის დასრულება, დამატებით მიეცა 4 სემესტრი და ამ პერიოდის განმავლობაში ვერ შეძლო სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დასრულება);

5.3.5. უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსით განსაზღვრული ნორმების უხეში და სისტემატური დარღვევა (მათ შორის კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა), უნივერსიტეტის რეპუტაციისა და კანონიერი ინტერესებისთვის ზიანის მიყენება.

მუხლი 6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა

6.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 3 (სამ) წელს და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

6.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მიზანია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური დახელოვნება, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვლევით კომპონენტის შესრულებაში ხელშეწყობა და მისი მომზადება მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისთვის.

6.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა (მათ შორის დაშვება შემდგომ სასწავლო კომპონენტებზე) და მოცულობა კრედიტებში განისაზღვრება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

6.4. დოქტორანტი ვალდებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 6 სემესტრის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ პირი ვერ აღწევს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

6.5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო შემადგენელი ნაწილია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის სახით.

6.6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია დოქტორანტს ჩამოუყალიბოს მეცნიერების შესაბამის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, მიღწეული სწავლის შედეგების წარმოჩენისა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით საკუთარი მსჯელობის არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.

6.7. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 3 სასწავლო წლის განმავლობაში შეასრულებს კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მაგრამ ვერ წარმოადგენს დასრულებულ სადისერტაციო ნაშრომს, მას უფლება აქვს დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მიმართოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ ხელმძღვანელს კვლევით კომპონენტზე მუშაობის არაუმეტეს 4 სემესტრით გახანგრძლივების მოთხოვნით.

6.8. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი, წინამდებარე მუხლის 6.7 პუნქტით გათვალისწინებულ დასაბუთებულ განცხადებას განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

6.9. იმ შემთხვევაში თუ, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი, არ დააკმაყოფილებს დოქტორანტის წერილობით განცხადებას, მიიჩნევა რომ, პირი ვერ აღწევს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

6.10. დოქტორანტის წერილობით განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დოქტორანტი აგრძელებს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობას და ვალდებულია დაასრულოს იგი არაუმეტეს 4 სასწავლო სემესტრის განმავლობაში. თუ აღნიშნულ პერიოდში დოქტორანტი ვერ წარმოადგენს დასრულებულ სადისერტაციო ნაშრომს, მიიჩნევა რომ, პირი ვერ აღწევს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

6.11. დოქტორანტს, რომელსაც წინამდებარე მუხლის 6.10 პუნქტის საფუძველზე აგრძელებს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობას, დამატებითი სემესტრების განმავლობაში უნარჩუნდება სტუდენტის სტატუსი (არაუმეტეს 4 სემესტრისა) და იგი ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასური.

6.12. წინამდებარე მუხლის 6.4; 6.7; 6.10. და 6.11. პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებში არ შედის ის პერიოდი, როდესაც დოქტორანტს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

6.13. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის განმავლობაში დოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს 2 (ორი) სამეცნიერო პუბლიკაცია რეფერირებად ელექტრონულ ან/და ბეჭდურ სამეცნიერო ჟურნალში ან საერთაშორისო კონფერენციის მასალებში/შრომების კრებულში (ე.წ. Proceedings), რომელთაგან სულ მცირე ერთი გამოიცემა საზღვარგარეთ და შედის შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო ინდექსირებულ ელექტრონულ ბაზებში: Thomson Reuters Web of Science, Scopus, Ulrich, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex, Elsevier, ICI, Journals Master List და DOAJ.

6.14. სამეცნიერო პუბლიკაცია დაკავშირებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის კვლევის თემატიკასთან.

6.15. დოქტორანტი უფლებამოსილია სამეცნიერო პუბლიკაცია შეასრულოს როგორც ინდივიდუალურად, ასევე თანაავტორობით.

6.16. გამოქვეყნებული პუბლიკაციების ასლები წარედგინებათ სადისერტაციო კომისიის წევრებს სადისერტაციო ნაშრომის საჯაროდ დაცვის დროს.

6.17. დოქტორანტს სამეცნიერო პუბლიკაცია გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ:

6.17.1. პუბლიკაცია სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებულია ბეჭდური ან ელექტრონული სახით;

6.17.2. დოქტორანტს მიღებული აქვს პუბლიკაციის გამოქევყნების შესახებ თანხმობა, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობით.

II. სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოს, სადისერტაციო კომისიის ფორმირების წესები, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი

მუხლი 7. სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭო

7.1. სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭო (შემდგომში სადისერტაციო საბჭო) კომპლექტდება უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმართულების აკადემიური პერსონალის მიხედვით, მის შემადგენლობაში ასევე შესაძლებელია შედიოდნენ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პირები. მოწვეულ პირთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სადისერტაციო საბჭოს საერთო შემადგენლობის ერთ მეოთხედს.

7.2. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას, დეკანის წარდგინების საფუძველზე ბრძანებით განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი.

7.3. სადისერტაციო საბჭო:

7.3.1. პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით განიხილავს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში შესატან ცვლილებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აკადემიურ საბჭოს;

7.3.2. ინდივიდუალურად თითოეული დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით განსაზღვრავს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

7.3.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დაინტერესებულ პირთა ჩარიცხვის მიზნით, განსაზღვრავს მიმღები კომისიის შემადგენლობას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

7.3.4. უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს წინადადებებს წინამდებარე დებულებაში ცვლილებების განხორციელების მიზნით;

7.3.5. უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს დეკანს მის შემადგენლობაში კონკრეტული წევრის დამატების შესახებ. დეკანის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, იგი სადისერტაციო საბჭოს წევრობის ახალ კანდიდატს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

7.3.6. განიხილავს სადისერტაციო კომისიის წარდგინებას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დადებით შედეგების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებას დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

7.3.7. უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განიხილავს გამოსაცხადებელი ვაკანტური ადგილების რაოდენობას და სკოლის დეკანს წარუდგენს მოთხოვნას მისაღები ვაკანტური ადგილების რაოდენობის შესახებ;

7.3.8. ახორციელებს წინამდებარე დებულებით და საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

7.4. სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი:

7.4.1. სადისერტაციო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე;

7.4.2. სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ორჯერ;

7.4.3. სადისერტაციო საბჭოს ტექნიკურ კოორდინაციას და შესაბამის საქმისწარმოებას უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს მდივანი, რომელიც შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს ერთ-ერთი წევრი ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრაციული ხელმძღვანელი ან უნივერსიტეტის სხვა ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელი;

7.4.4. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, სადისერტაციო საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბარი რაოდენობით გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე;

7.4.5. სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;

7.4.6 სადისერტაციო საბჭოს სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს და გადაწყვეტილებები მიღებული იქნეს ელექტრონული წესით.

7.5. სადისერტაციო საბჭოს წევრს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება შემდეგ შემთხვევებში:

7.5.1. პირადი განცხადების საფუძველზე;

7.5.2. თუ, პირის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი;

7.5.3. თუ, პირს, რომელიც სადისერტაციო საბჭოს წევრის თანამდებობას იკავებს, როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შეუწყდება უნივერსიტეტთან შრომითი ხელშეკრულება;

7.5.4. გარდაცვალების შემთხვევაში.

მუხლი 8. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის განსაზღვრა

8.1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

8.2. სადისერტაციო კომისია შედგება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე არანაკლებ 5 (ხუთი) პირისგან, მის შემადგენლობაში შედიან სადისერტაციო ნაშრომის შესაბამისი სამეცნიერო დარგის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად ასევე, კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას. სადისერტაციო კომისიის 2/3-ს წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალი. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის 1/3 წარმოდგენილი უნდა იყოს გარე შემფასებლის სახით, რომლებიც შესაძლებელია იყვნენ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, ან/და შესაბამისი დარგის ექსპერტები (სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შედიოდნენ - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელი/წარმომადგენლები). სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი და რეცენზენტები.

8.3. სადისერტაციო კომისიის საქმიანობას უძღვება სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც სადისერტაციო საბჭოს წარდგენის საფუძველზე განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე უნდა ფლობდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხის იმ დარგში, რომელშიც დოქტორანტს შესრულებული აქვს სადისერტაციო ნაშრომი, ასევე შესაძლებელია თავმჯდომარეს დოქტორის აკადემიური ხარისხის გააჩნდეს მომიჯნავე დარგში, ინტერდისციპლინური პრინციპის გათვალისწინებით.

8.4. დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ ინფორმაციას აწვდის შესაბამისი პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი.

მუხლი 9. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო კომისიის წევრის/წევრების აცილება

9.1. დოქტორანტს უფლება აქვს, სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა და სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელის სახელზე დასაბუთებული წერილობითი განცხადების

საფუძველზე მოითხოვოს სადისერტაციო კომისიის წევრის/წევრების აცილება. დოქტორანტის წერილობით განცხადებას განიხილავს სადისერტაციო საბჭო და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

9.2. იმ შემთხვევაში თუ, დოქტორანტის წერილობით განცხადება მოკლებულია დასაბუთებას, სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დოქტორანტს და განუსაზღვროს ვადა (არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა) წერილობით დაასაბუთოს, თუ რატომ ითხოვს დოქტორანტი სადისერტაციო კომისიის წევრის/წევრების აცილებას. დადგენილ ვადაში დოქტორანტის მიერ დასაბუთებული განცხადების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, უარი თქვას წარმოდგენილი წერილობითი განცხადების დაკმაყოფილებაზე.

9.3. იმ შემთხვევაში თუ, დოქტორანტის წერილობით განცხადებით მოთხოვნილია სადისერტაციო კომისიის იმ წევრის აცილება, რომელიც ამავდროულად იკავებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას, დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ წერილობით განცხადებას განიხილავს სადისერტაციო საბჭო და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

9.4. წინამდებარე მუხლის 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე არ იღებს მონაწილეობას საკითხის განხილვის პროცესში და მის მოვალეობას დროებით ასრულებს სადისერტაციო საბჭოს მიერ არჩეული პირი.

9.5. წინამდებარე მუხლის 9.2. პუნქტით გათვალისწინებული განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევებში, სადისერტაციო საბჭოს მიერ აცილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში შესაბამისი პროგრამის აკადემიურ ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს სადისერტაციო კომისიის ახალ წევრს/წევრებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

9.6. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღის ვადაში შესაბამისი პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი/კოორდინატორი უზრუნველყოფს სადისერტაციო კომისიის წევრებისათვის სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონული ვერსიების გადაცემას.

9.7. სადისერტაციო კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.

9.8. იმ შემთხვევაში თუ, დოქტორანტი საპატიო მიზეზით ვერ გავიდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე (ასეთ შემთხვევაში დოქტორატმა წერილობით უნდა მიმართოს შესაბამისი პროგრამის აკადემიურ ხელმძღვანელს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ), ან კომისიის კვორუმი არ შედგა, ან სადისერტაციო ნაშრომის დაცვა არ შედგა დოქტორატისგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზების გამო, სადისერტაციო საბჭოს შუამდგომლობით უნივერსიტეტის რექტორი განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის განახლებულ თარიღს.

9.9. სადისერტაციო კომისია, სადისერტაციო ნაშრომის შეფასების საფუძველზე სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასების შედეგებს და სარეკომენდაციო გადაწყვეტილებას დოქტორატისთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების ან არ მინიჭების შესახებ.

9.10. სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

9.11. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ამავდროულად არის სადისერტაციო კომისიის მდივანი, თუ სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

მუხლი 10. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი

10.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას უძღვება აკადემიური ხელმძღვანელი, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტთან აფილირებულ აკადემიურ პერსონალს და პასუხისმგებელია პროგრამის დაგეგმვაზე, შემუშავებაზე, მისი შეფასების პროცესში მონაწილეობასა და შემდგომ განვითარებაზე. ის უშუალოდ მონაწილეობს პროგრამის განხორციელებაში როგორც სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალი ან/და კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელი.

10.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ ხელმძღვანელს დეკანის წარდგინების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

10.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი:

10.3.1. უზრუნველყოფს მისდამი დაქვემდებარებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასა, განვითარებას და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას;

10.3.2. მონაწილეობს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ან/და კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში;

10.3.3. სადისერტაციო საბჭოსა და სკოლის დეკანს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამისი პროგრამის ფუნქციონირების და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

10.3.4. სადისერტაციო საბჭოსთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სხვა დაინტერესებული პირებთან კოორდინაციით მუშაობს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა (იგულისხმება შიდა და გარე შეფასების პროცესი) და შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე მის შემდგომ განვითარებაზე. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებელი მხარეების გათვალისწინებით შეიმუშავებს და წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს/რჩევებს სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აკადემიურ საბჭოს;

10.3.5. საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სადისერტაციო საბჭოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზნით;

10.3.6. განსაზღვრავს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელს და უნივერსიტეტს რექტორს წარუდგენს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით;

10.3.7. დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეიმუშავებს დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო/კვლევითი გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აკადემიურ საბჭოს;

10.3.8. მონაწილეობს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო განრიგის შედგენაში;

10.3.9. ახორციელებს წინამდებარე დებულებით, საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტებითა და სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

10.4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე ჰყავს ადმინისტრაციული ხელმძღვანელი, რომელსაც, დეკანის წარდგინების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

10.5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი:

10.5.1 მონაწილეობს მისდამი დაქვემდებარებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების, განვითარებასა და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის პროცესში;

10.5.2. უზრუნველყოფს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო-კვლევითი საქმიანობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერასა;

10.5.3. მონაწილეობს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შიდა და გარე შეფასების პროცესში და შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის რეკომენდაციების/რჩევების შემუშავების პროცესში.

10.5.4 სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ადმინისტრაციულ მენეჯერთან ან/და უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურთან კოორდინაციით მუშაობს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტზე;

10.5.5 დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაწილეობს დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო/კვლევითი გეგმის შემუშავების პროცესში;

10.5.6. აკადემიურ ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადმინისტრირებას უწევს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს;

10.5.7. აწარმოებს დოქტორანტების პირად საქმეებს;

10.5.8. უზრუნველყოფს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულ მიწოდებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის;

10.5.9. კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე და დაცვის შემდეგ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისთვის;

10.5.10. მონაწილეობს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის პროცესში;

10.5.11. ადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო განრიგს;

10.5.12. ახორციელებს მონიტორინგს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პირების კვალიფიკაციის შესაბამისობას წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ ვალდებულებებთან;

10.5.13. ახორციელებს წინამდებარე დებულებით, საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელი აქტებითა და სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 11. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი

11.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი სფეროს არანაკლებ 5 (ხუთი) აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - არანაკლებ 3 პირი უნდა იკავებდეს პროფესორის/ასოცირებული პროფესორის პოზიციას. დოქტორანტურის

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ასევე შესაძლებელია ჩართული იყოს ის პირი, რომელიც იკავებს ასისტენტ პროფესორის პოზიციას.

11.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით ან/და პრაქტიკული პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას.

11.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო ან/და კვლევით კომპონენტს ასევე შესაძლებელია გაუძღვეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, მოწვეული პერსონალის სტატუსით.

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი

12.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 9 (ცხრა) თვის ვადაში თითოეული დოქტორანტისთვის პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ხელმძღვანელის მონაწილეობით განსაზღვრავს სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელს, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

12.2 დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და უდასტურდება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში კვლევის ან/და პროფესიული გამოცდილება. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელს ბოლო 5 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში (Thomson, Reuters, Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue Elsevier, Web of Science) გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას.

12.3 სადისერტაციო ნაშრომის ინტერდისციპლინური შინაარსის ან/და დოქტორანტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით დოქტორანტს შესაძლებელია ჰყავდეს სადისერტაციო ნაშრომის თანახელმძღვანელი, რომელიც ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და უდასტურდება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში კვლევის ან/და პროფესიული გამოცდილება.

12.3. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია დოქტორანტს გაუწიოს კონსულტაცია შემდეგი მიმართულებებით: კვლევის დიზაინი და სადისერტაციო პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის დამატებითი უფლება-მოვალეობები დგინდება მასთან გასაფორმებელი ხელშეკრულებით.

12.4. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელთან უნივერსიტეტი აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას, რომლითაც დგინდება მისი უფლება-მოვალეობები და რომლის საფუძველზეც იგი მონაწილეობს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

12.5. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი ყოველ 6 (ექვს) თვეში ერთხელ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელებს წარუდგენს შეფასების ფორმას (უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების დანართი N21 შესაბამისად) დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შესრულების პროგრესთან დაკავშირებით. თავის მხრივ დოქტორანტი უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების დანართების N16-ის და N17-ის შესაბამისად აფასებს სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელს, როგორც სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში (ყოველ 6 (ექვს) თვეში ერთხელ) ასევე მასზე მუშაობის დასრულების შემდგომ.

12.6. საჭიროების შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი უფლებამოსილია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრაციულ/აკადემიურ ხელმძღვანელს მიმართოს შუამდგომლობით დოქტორანტისთვის დამატებითი სასწავლო კურსის/კურსების გავლის მიზნით. ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს არ ენიჭება გავლილი სასწავლო კურსით გათვალისწინებული კრედიტი.

12.7. დოქტორანტს უფლება აქვს, პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელებს თავად შესთავაზოს სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობის კანდიდატი, რომელიც წერილობით უნდა გამოხატავდეს თანხმობას მასზედ, რომ იგი თანახმა არის უხელმძღვანელოს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომს. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობის შემოთავაზებული კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

12.8. დოქტორანტის მიერ პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელების სადისერტაციო ნაშრომის კანდიდატის შეთავაზების შემთხვევაში, დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შემოთავაზებული კანდიდატის CV, რომლითაც უნდა დასტურდებოდეს სადისერტაციო ნაშრომის პოტენციური კანდიდატის კომპეტენცია.

12.9. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი წერილობითი განცხადებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი, ადმინისტრაციულ ხელმძღვანელთან კოორდინაციით განიხილავს წარმოდგენილი განცხადებასა და შემოთავაზებული სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობის კანდიდატს CV-ს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

12.10. დოქტორანტს უფლება აქვს არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით მიმართოს პროგრამის აკადემიურ ხელმძღვანელს და მოითხოვოს დისერტაციის თემისა ან/და სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის შეცვლა კვლევით კომპონენტზე მუშაობის ნებისმიერ ეტაპზე.

12.11. პროგრამის აკადემიურ ხელმძღვანელი განიხილავს დოქტორანტის არგუმენტირებულ წერილობით განცხადებას გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ან/და სადისერტაციო ნაშრომის თემის შეცვლის შესახებ.

12.12. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელს უფლება აქვს, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობის დაცვით უარი თქვას სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობის გაგრძელებაზე.

12.13. წინამდებარე მუხლის 12.7. პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიშნება სადისერტაციო ნაშრომის ახალი ხელმძღვანელი ან/და დოქტორანტს ეძლევა უფლება შეცვალოს სადისერტაციო ნაშრომის თემატიკა.

12.14. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ ორჯერ, რის შემდეგაც დოქტორანტი კარგავს მესამედ სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ცვლილების მოთხოვნის უფლებას.

12.15. წინამდებარე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ერთი და იმავე პირს უფლება აქვს ერთდროულად ხელმძღვანელობა გაუწიოს არაუმეტეს 3 სამ სადისერტაციო ნაშრომს.

12.16. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1/5 თანაფარდობა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის მიზნით.

თავი III. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის, დაცვის პროცედურა და მისი შეფასების წესი

მუხლი 13. დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

13.1. დოქტორანტს უფლება აქვს წარმოადგინოს დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი იმ შემთხვევაში თუ, წინამდებარე დებულების მოთხოვნათა დაცვით:

13.1.1 დასრულებული აქვს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტები;

13.1.2. დაცული აქვს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული პროსპექტუსი და კოლოკვიუმი;

13.1.3. გამოქვეყნებული აქვს 2 (ორი) პუბლიკაცია;

13.1.4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით შეიძლება დაწესდეს დამატებითი წინაპირობები.

13.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს დოქტორანტმა უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

13.2.1 სადისერტაციო ნაშრომის ოთხი აკინძული ბეჭდური ეგზემპლარი (ქართულ ენაზე) და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში) უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განსათავსებლად;

13.2.2. ავტორეფერატი ნაბეჭდი სახით ქართულ და ინგლისურ ენებზე;

13.2.3. დოქტორანტის ავტორობით ან თანაავტორობით სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული უკვე გამოქვეყნებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი პუბლიკაციების ასლები;

13.2.4 სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, რომლითაც უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო სადისერტაციო ნაშრომის დასრულებულ ვერსიას და მიაჩნია, რომ სადისერტაციო ნაშრომი მზად არის შეფასებაზე წარსადგენად.

13.3. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარედგინება სადისერტაციო კომისიას დისერტაციის საჯაროდ დაცვის პროცესში განსახილველად.

13.4 სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ, პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი ამოწმებს დოკუმენტაციის შესაბამისობას დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

13.5. იმ შემთხვევაში თუ, დოქტორანტის მიერ არ იქნება წინამდებარე მუხლის 13.2.1-13.2.4. პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტი წარმოდგენილი, პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი მას განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რა დროშიც დოქტორანტმა ვალდებულია გამოასწოროს ხარვეზი. დოქტორანტის მიერ ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი არ ექვემდებარება შეფასებას.

13.6. იმ შემთხვევაში თუ, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნით დგინდება, რომ სადისერტაციო ნაშრომი მზად არ არის შეფასებაზე წარსადგენად დოქტორანტი კარგავს მიმდინარე სემესტრში სადისერტაციო ნაშრომის დაცვის უფლებას.

13.7. აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვის მიზნით დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით მოწმდება პლაგიატზე, სადისერტაციო ნაშრომში პლაგიატის დაუდასტურებლობის შემთხვევაში ის გადაეცემა რეცენზენტს შესაფასებლად.

მუხლი 14. სადისერტაციო ნაშრომის გაფორმება

14.1. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევით ნაშრომს, რომლის შესრულების დროს დოქტორანტმა უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე მუხლისა და ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადოქტორო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.

14.2. სადისერტაციო ნაშრომში წყაროების მითითებისას დოქტორანტმა უნდა გამოიყენოს APA7-ს აკადემიური სტილი ყველა შესაბამისი ნორმის დაცვით.

14.3. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტის (გარდა ბიბლიოგრაფიისა და დანართებისა) მოცულობა უნდა იყოს არანაკლები 30 000 სიტყვისა.

14.4. სადისერტაციო ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდზე. ძირითადი ტექსტი დაბეჭდილი უნდა იყოს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების გრაფიკები და ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე.

14.5. სადისერტაციო ნაშრომის ფორმატირებისას გამოყენებული უნდა იყოს შრიფტი - Sylfaen, შრიფტის ზომა -12, თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი, მაგრამ არაუმეტეს -14-ისა. ძირითადი ტექსტის სტრიქონებს შორის დაცული უნდა იყოს 1,5 ინტერვალით დაშორება. ძირითადი ტექსტი გასწორებული უნდა იყოს როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეს (layout – paragraph – Alignment – left/right).

14.6 სადისერტაციო ნაშრომში ველები დაცული უნდა იყოს შემდეგი წესით, მარცხენა მხარეს 3 სმ., ზედა მხარეს 2 სმ., მარჯვენა მხარეს 1,5 სმ. და ქვედა მხარეს 2 სმ.

14.7. სადისერტაციო ნაშრომის გვერდები ინომრება არაბული ციფრებით, ქვედა მხარეს შუაში. გვერდები ინომრება იმავე შრიფტით ზომა - 12. შესავალი გვერდები (სატიტულო გვერდი, რეზიუმე, შინაარსი/სარჩევი, ცხრილების და გრაფიკების ნუსხა, ანბანური საძიებელი, და სხვა) არ ინომრება.

14.8 დისერტაციაში წარმოდგენილი ყველა თავისა და ქვეთავის დასახელება წარმოდგენილი უნდა იყოს სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან. თავებისა და ქვეთავების ნუმერაციის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რომაული ციფრები.

14.9. სადისერტაციო ნაშრომის პირველ გვერდზე მითითებული უნდა იყოს უნივერსიტეტის დასახელება და ლოგო, სადისერაციო ნაშრომის სათაური, დოქტორანტის სახელი და გვარი, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების სახელი/სახელები და გვარი/გვარები, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, რომლისთვისაც შესრულებულია სადისერტაციო ნაშრომი, შესრულების წელი და ადგილი.

14.10 სადისერტაციო ნაშრომს სავალდებულო წესით თან უნდა ერთოდეს დოქტორანტის განაცხადი - „ სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ავტორის ინდივიდუალური კვლევის შედეგს და მასში დაცული არის კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების სტანდარტები“.

მუხლი 15. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება

15.1. დოქტორანტის მიერ შესაბამისი პროგრამის აკადემიური/ადმინისტრაციული ხელმძღვანელისთვის სადისერტაციო ნაშრომის წარდგენიდან არაუმეტეს 90 კალენდარული დღის ვადაში, შესაბამისი პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი განსაზღვრავს ორ რეცენზენტს, რომლებსაც სადისერტაციო ნაშრომი გადაეცემათ შესაფასებლად. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზანია მისი კვლევითი ღირებულების ობიექტური შეფასება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

15.2. ორი რეცენზენტიდან ერთი უნდა წარმოადგენდეს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, ხოლო მეორე უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ ან მოწვეული პერსონალს, ან კვლევითი ორგანიზაციას.

15.3. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი აღჭურვილი უნდა იყოს უახლესი ცოდნით, უნდა გააჩნდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და ბოლო 5 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას.

15.4. სადისერტაციო ნაშრომის მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რეცენზენტებისთვის სადისერტაციო ნაშრომის იმ ფორმით გადაცემას, რომ მისთვის უცნობი იყოს დოქტორანტისა და სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის ვინაობა. ასევე, დოქტორანტისთვის უცნობი უნდა იყოს რეცენზენტების ვინაობა.

15.5. რეცენზენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობები და დგინდება ვადა, რომელშიც რეცენზენტმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი დასკვნა სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით.

15.6. რეცენზენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მას დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი აწვდის სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს.

15.7. თუ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით სხვა რამ არ არის დადგენილი, რეცენზენტი მის მიერ მომზადებულ დასკვნაში ეყრდნობა შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს:

15.7.1. დარგის/ქვედარგის და/ან დარგთაშორისი სამეცნიერო სფეროს განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი სადისერტაციო თემის აქტუალობის და სიახლის გათვალისწინებით;

15.7.2. სადისერტაციო ნაშრომის თანმიმდევრულობა, სისტემური კვლევა და კავშირი კვლევის მიზნებსა და წარმოდგენილ შედეგებს შორის;

15.7.3. საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების სისრულე და კრიტიკული ანალიზი;

15.7.4. კვლევის მეთოდოლოგიური გამართულობა, ინოვაციურობა და სამეცნიერო ეთიკისა და კვლევის კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვა;

15.7.5. კვლევის პროცესში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხი;

15.7.6. დისერტაციის გაფორმების, მათ შორის, ციტირების, წესის სათანადო დაცვა.

15.8. შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე რეცენზენტი თავის წერილობით დასკვნით ადგენს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

15.8.1 სადისერტაციო ნაშრომი დაშვებულ იქნეს საჯარო
დაცვაზე;

15.8.2. სადისერტაციო ნაშრომი არ იქნეს დაშვებული
საჯარო დაცვაზე.

15.9. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი რეცენზენტების დასკვნების მიღებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის მათ მიწოდებას.

15.10. თუ ერთ-ერთი რეცენზენტის წერილობითი დასკვნით დგინდება, რომ სადისერტაციო ნაშრომი არ უნდა იქნეს დაშვებული საჯარო დაცვაზე, პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი გამოყოფს მესამე რეცენზენტს, რომელსაც წინამდებარე დებულების მოთხოვნათა დაცვით გადაეცემა სადისერტაციო ნაშრომი შესაფასებლად.

15.11. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების ან არ დაშვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მესამე რეცენზენტის წერილობითი დასკვნის საფუძველზე.

15.12. მესამე რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე არ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავებისთვის ეძლევა ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 2 სემესტრს, იმ პირობით, რომ დოქტორანტის უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან არ იქნება გასული 10 სემესტრზე მეტი. ასეთ

შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია გადაიხადოს პროგრამის სწავლის ღირებულების შესაბამისი ოდენობა.

15.13. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში დოქტორანტის ჩარიცხვიდან გასულია 10 სემესტრი და რეცენზენტების დასკვნებით დგინდება, რომ სადისერტაციო ნაშრომი არ უნდა იქნეს დაშვებული საჯარო დაცვაზე, მიიჩნევა რომ პირმა ვერ მიაღწია შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

15.14. იმ შემთხვევაში, თუ ორი რეცენზენტიდან ერთ-ერთის შეფასებით დგინდება, რომ დოქტორანტის მიერ გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის არ უნდა იქნეს დაშვებული საჯარო დაცვაზე, მიიჩნევა რომ პირმა ვერ მიაღწია შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

15.15. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი არ ეთანხმება რეცენზენტის/რეცენზენტების მიერ წარმოდგენილ დასკვნას, მას რეცენზენტების დასკვნების გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უფლება აქვს არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით მიმართოს სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელს და მოითხოვოს მის მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომის ხელახლა რეცენზირება.

15.16. იმ შემთხვევაში თუ, დოქტორანტის წერილობით განცხადება მოკლებულია დასაბუთებას, სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დოქტორანტს და განუსაზღვროს ვადა (არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა) წერილობით დაასაბუთოს, თუ რატომ ითხოვს დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომის ხელახალ რეცენზირებას. დადგენილ ვადაში დოქტორანტის მიერ დასაბუთებული განცხადების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, უარი თქვას წარმოდგენილი წერილობითი განცხადების დაკმაყოფილებაზე.

15.17. დოქტორანტის არგუმენტირებულ წერილობით განცხადებას განიხილავს სადისერტაციო საბჭო და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

15.18. იმ შემთხვევაში თუ, სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება წარმოდგენილი განცხადების დაკმაყოფილების შესახებ, პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი წინამდებარე დებულების მოთხოვნის დაცვით განსაზღვრავს ახალ რეცენზენტს/რეცენზენტებს, რომელსაც/რომლებსაც გადაეცემათ დოქტორანტის გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.

მუხლი 16. სადისერტაციო კომისიის სხდომა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიმდინარეობა

16.1. იმ შემთხვევაში თუ, გამოყოფილი რეცენზენტების წერილობითი დასკვნებით დგინდება, რომ სადისერტაციო ნაშრომი დაშვებულ უნდა იქნეს საჯარო დაცვაზე, წინამდებარე დებულების მოთხოვნათა დაცვით იქმნება სადისერტაციო კომისია.

16.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სადისერტაციო კომისიის წევრებისთვის სადისერტაციო ნაშრომის, რეცენზენტთა შეფასებების, და დოქტორანტთან დაკავშირებით წინამდებარე დებულებით განსაზღვრული დოკუმენტაციის გადაცემას.

16.3. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე განისაზღვრება სადისერტაციო კომისიის სხდომის ჩატარებისა სადისერტაციო ნაშრომის საჯაროდ დაცვის თარიღი.

16.4. სადისერტაციო კომისიის სხდომისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, შესაბამისი სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ათი კალენდარული დღით ადრე.

16.5. სხდომას გახსნილად აცხადებს სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც ადასტურებს სადისერტაციო კომისიაზე კვორუმის არსებობას (სხდომას უნდა ესწრებოდეს სადისერტაციო კომისიის ყველა წევრი) და დამსწრე პირებს აცნობებს სხდომის დღის წესრიგს, რის შემდეგაც სიტყვას გადასცემს სადისერტაციო კომისიის მდივანს.

16.6. სადისერტაციო კომისიის მდივანი სადისერტაციო კომისიასა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგენს დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, სადისერტაციო ნაშრომის თემას, რეცენზენტების ვინაობასა და დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ სხვა დოკუმენტებს. რის შემდეგაც დოქტორანტი დამსწრე საზოგადოების წინაშე პრეზენტაციის სახით წარმოადგენს განხორციელებული კვლევის შედეგებს.

16.7. დოქტორანტის კვლევის შედეგების პრეზენტაცია გულისხმობს მოხსენებას – თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. აღნიშნულ დროში დოქტორანტმა თვალნათლივ უნდა წარმოაჩინოს თავისი სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მეთოდოლოგია, ძირითად დებულებები და მიღებულ შედეგები. სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაციისას დოქტორანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა, რომლისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტექნიკური მასალა.

16.8. სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი წარმოადგენს საკუთარ ხედვას შესრულებულ ნაშრომთან დაკავშირებით.

16.9. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ საკუთარი ხედვის წარმოდგენის დასრულების შემდეგ რეცენზენტები ცალ-ცალკე სადისერტაციო კომისიას და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგენენ მათ მიერ განხორციელებულ შეფასებას. იმ შემთხვევაში თუ, სადისერტაციო ნაშრომი დაცვაზე საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა/გამოცხადდნენ რეცენზენტი/რეცენზენტები მეორე რეცენზენტი/სხდომის მდივანი სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნობს რეცენზიას/რეცენზიებს.

16.10. რეცენზენტების შეფასებების წარმოდგენის შემდეგ დოქტორანტმა უნდა უპასუხოს რეცენზენტების შენიშვნებს შემდეგ იმართება სამეცნიერო დისკუსია, რომელიც შესაძლებელია წარიმართოს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე და რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ საათს. სამეცნიერო დისკუსიის ფარგლებში დოქტორანტისთვის კითხვის დასმის უფლება რეცენზენტებთან ერთად აქვთ სადისერტაციო კომისიის წევრებსაც, დოქტორანტმა არგუმენტირებულად უნდა უპასუხოს სადისერტაციო კომისიის წევრების კითხვებს.

16.11. სამეცნიერო დისკუსიის დასრულების შემდეგ, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას უფლება ეძლევა კითხვით მიმართოს დოქტორანტს, დამსწრე საზოგადოების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ დოქტორანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა.

16.12. დოქტორანტის დასკვნითი სიტყვის დასრულების შემდეგ, დამსწრე საზოგადოება ტოვებს დარბაზს და სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი ანონიმურად აფასებს სადისერტაციო ნაშრომს. სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს ინდივიდუალურად, 17-ე მუხლის 17.3. პუნქტის შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის ერთიანი დასკვნითი შეფასება გამოითვლება სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებების

საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით. 16.13 სადისერტაციო კომისიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას ეძლევა უფლება დაბრუნდეს დარბაზში და მოისმინოს სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილება და განხორციელებული შეფასება. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს სადისერტაციო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და შეფასებას.

16.13. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის, მისი მიმდინარეობისა და საბოლოო შედეგის შესახებ დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 17. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

17.1. სადისერტაციო ნაშრომი, შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით.

17.2. სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

17.3. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – 91-100 ქულა;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – 81-90 ქულა;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – 71-80 ქულა;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს – 61-70 ქულა;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – 51-60 ქულა;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო – 41-50 ქულა;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – 40 ქულა და ნაკლები.

17.4 არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში დასაბუთებული განცხადებით მიმართოს პროგრამის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნით. გარდა იმ შემთხვევისა, თუ უნივერსიტეტში დოქტორანტის ჩარიცხვიდან გასულია 10 (ათი) სემესტრი, ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ პირი ვერ აღწევს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

17.5. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავების და წარდგენის უფლებას.

17.6. სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ეროვნულ ბიბლიოთეკას, ხოლო სამი ეგზემპლარი რჩება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ასევე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საკუთარ ვებ გვერდზე დაცული სადისერტაციო ნაშრომისა და მისი ავტორეფერატის (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ელექტრონული ვერსიების განთავსებას.

მუხლი 18. სადისერტაციო ნაშრომში მიღებული შეფასების გასაჩივრების წესი

18.1 დოქტორანტი, რომელიც არ ეთანხმება სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას, უფლებამოსილია სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შედეგს გაცნობიდან 3 კალენდარული დღის ვადაში არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით მიმართოს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს და გაასაჩივროს სადისერტაციო ნაშრომში მიღებული შეფასება.

18.2 სადისერტაციო საბჭო, დოქტორანტის წერილობითი განცხადების მიღებიდან, 30 კალენდარული დღის ვადაში, შეისწავლის მას და იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი განცხადება მოკლებულია დასაბუთებას, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მოსთხოვოს დოქტორანტს და განუსაზღვროს ვადა (არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა) წერილობით დაასაბუთოს, თუ რატომ არ ეთანხმება იგი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას. დადგენილ ვადაში დოქტორანტის მიერ დასაბუთებული განცხადების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, უარი თქვას წარმოდგენილი წერილობითი განცხადების დაკმაყოფილებაზე.

18.3. დოქტორანტის წერილობითი განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო განსაზღვრავს სააპელაციო კომისიის შემადგენლობას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

18.4 სააპელაციო კომისია შედგება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე არანაკლებ სამი წევრისგან. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ის პირი, რომელსაც მონაწილეობა მიღებული ჰქონდა სადისერტაციო ნაშრომის მომზადების ან შეფასების პროცესში.

18.5 სააპელაციო კომისია ვალდებულია მისი შექმნიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში შეისწავლოს და ხელახლა შეაფასოს სადისერტაციო ნაშრომი. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სააპელაციო კომისიის წევრთათვის სადისერტაციო ნაშრომის იმ ფორმით გადაცემას, რომ მათთვის უცნობი იყოს მიღებული შეფასება.

18.5 სააპელაციო კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ სადისერტაციო ნაშრომს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. სააპელაციო კომისიის შეფასება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 19. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

19.1. სადისერტაციო კომისიის მიერ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, სადისერტაციო კომისია სარეკომენდაციო განცხადებით მიმართავს სადისერტაციო საბჭოს დოქტორანტისთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე პირს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

19.2. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომში მოცემული ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი და დეკანი, და მოწმდება უნივერსიტეტის ბეჭდით.

მუხლი 20. მინიჭებული დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილად ცნობა

20.1. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილად ცნობის საკითხი განიხილება იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო საბჭოს წარედგინა განაცხადი და შესაბამისი მტკიცებულებები სადისერტაციო ნაშრომის გაყალბების ან/და პლაგიატის შესახებ.

20.2. სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის შესაძლო გაყალბების ან/და პლაგიატის ფაქტის შესწავლის მიზნით ქმნის სპეციალურ კომისიას, რომელიც დეტალურად შეისწავლის აღნიშნულ საკითხს და წარმოადგენს დასაბუთებულ დასკვნას სადისერტაციო ნაშრომში გაყალბების ან/და პლაგიატის ფაქტის დადასტურების ან არ დადასტურების შესახებ.

20.3. სპეციალური კომისიის მიერ სადისერტაციო ნაშრომში გაყალბების ან/და პლაგიატის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილად ცნობის შესახებ.

მუხლი 21. დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმები

21.1 უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტებს, რომლებიც ამავე დროს უნივერსიტეტში იკავებენ ადმინისტრაციულ/აკადემიურ პოზიციას, უნივერსიტეტი სამი წლის ვადით უფინანსებს სწავლის ღირებულებას არაუმეტეს 75%-ის ოდენობით.

21.2 უნივერსიტეტი, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სთავაზობს მონაწილეობა მიიღონ შიდა საუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების კონკურსში, ელექტრონული სახელმძღვანელოების მხარდაჭერის შიდა საგრანტო დაფინანსების პროგრამაში, პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების საგრანტო დაფინანსების პროგრამაში.

21.3 უნივერსიტეტი, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს სამეცნიერო პუბლიკაციები გამოაქვეყნენ უნივერსიტეტის რეფერირებად ელექტრონულ სამეცნეირო პერიოდულ გამოცემაში - „Journal of Politics and Democratization“.

21.3 უნივერსიტეტი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტებს, რომლებიც წარმატებით დაიცავენ პროსპექტუსსა და კოლოკვიუმს, სადისერტაციო ნაშრომის დასრულების მხარდაჭერის მიზნით შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ სადოქტორო საფეხურის სტუდენტების სადისერტაციო კვლევების მხარდაჭერის შიდა საგრანტო დაფინანსების პროგრამაში.

21.4 დოქტორანტთა მიერ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერა თანადაფინანსების პირობით.

მუხლი 22. გარდამავალი დებულებები

22.1 წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება, იმ დოქტორანტებზე, რომლებიც უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხებიან 2024-2025 სასწავლო წლიდან.

22.2 ის დოქტორანტები, რომლებიც უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხნენ 2024 წლამდე, მათთვის პროგრამის დასრულებისთვის განსაზღვრული 10 სემესტრის ათვლა დაიწყება 2023-2024 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრიდან. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ 10 სემესტრში შედის სტუდენტის, როგორც აქტიური ისე შეჩერებული სტატუსის პერიოდი.

22.3 ის დოქტორანტი, რომლებიც უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 2024 წლამდე და 10 სემესტრის განმავლობაში ვერ წარმოადგენს დასრულებულ სადისერტაციო ნაშრომს მიიჩნევა, რომ პირი ვერ აღწევს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.